საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციონო პარტია

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
ქალაქგარეთ 60 კაპ.

№ 420 1918 წ. კვირა, დეკემბრის 29. № 420

შულავერთან ჩვენმა ჯარმა სომხებს ორი ტყვიის-მფრქვეველი წაართვა. აძერბეიჯანის რესპუბლიკის ახალი კაბინეთი შესდგა ისევ ხან-ხოისკის მეთაურობით. რუსეთის საკითხი ლონდონში გადასწყდება ვილსონის თანადასწრებით. სლავიანები გერმანიის ტერიტორიაში შეიჭრნენ. ძეგვის საქმე დამთავრდა: მმაგაილოვს და კუჩარიანცს დახვრეტა გადაუწყვიტეს.

ქართული სამუსიკო საზოგადოება

სახელმწიფო თეატრი
ორშაბათს, დეკემბრის 30-ს გაიმართება

ეროვნული კონცერტი

დ. არაყიშვილის თხზულებებიდან.
მონაწილეობას იღებენ: ქ. ქ. ო. ა. შულგინა, ე. ა. ხორინა, ბ. ბ. ფ. ნ. პოლიაევი, ი. პ. სარაჯიშვილი და სიმფონიური ორკესტრი სახელ. თეატრის. დასაწყისი 7 საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 2396

კიტა აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე, მისი სულის მოსახსენებლად, კვირას, დეკ. 29-ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ მისი ჭირი უფლები. წირვის და აწყისი 11 ნახ. ს. პანაშვიდის პირველის ნახევარზე. 1458

საქ. სოციალი ტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის მთავარი კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას, რომ დაუვიწყარ ამხანაგის

კიტა აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე, კვირას, დეკემბრის 29-ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვის დასაწყისი თერთმეტის ნახევარზე, ხოლო პანაშვიდისა—პირველის ნახევარზე. 1460

ღრმად დამწუხრებული მშობლები ნინო ლევანის ასული და დომენტი ივანეს ძე, და და ლიზა ბარნაბიშვილები, და დეიდაშვილი ვასო სვანიძე, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ქალთა მე-7 გიმნაზიის მე-V კლასის მოწაფე

ელენე ბარნაბიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას დეკემბრის 29-ს სოფელ ბარნაბიანთ-კარში. 1466.

მეუღლე გიორგი ადამის ძე ბერელაშვილი, დედა სალომე ქაიხოსროს ასული, ძმები: დავით და მიხეილ ლორთქიფანიძეები და სიძე ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული და შალვა ანტონის ძე მიქელაძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულ ბერელაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება განსვენებულის საფლავზე კვირას დეკემბრის 29-ს დილის 11 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. 1463

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ოცდა შვიდ დეკემბერს გარდაიცვალა

მარიამ პავლეს ასული მამამთავრიშვილისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე ნიკიფორე, შვილები ბარბარე და ზაქარია, დედამთილი ბარბარე სამსონის ასული მამამთავრიშვილები, ბებია მართა და სოფიო, ძმა გიორგი ივანეშვილები. პანაშვიდები საღამოს ექვსს საათზე გამოსვენება დეკემბრის 31-ს სამშაბათს საკუთარ სახლიდან ჭავჭავაძის ქ. № 24, წირვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში. 2644

ღრმად დამწუხრებულნი ნატალია, ვერა და ალექსანდრე ჭოლოშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ახალქალაქთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა მათი დაუვიწყარი და საყვარელი ძმა კაპიტანი

ვლადიმერ ვასილის ძე ჭოლოშვილი

დაკრძალვა მოხდება ს. მესხეთში, ქუთ. გუბ. კვირას დეკემბრის 29. 2642

ევგენი და ვლადიმერ ჭოლოშვილები ოჯახითურთ უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ახალქალაქთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილი კაპიტანი

ვლადიმერ ვასილის ძე ჭოლოშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, დეკემბრის 29 ს. მესხეთში ქუთ. გუბ. 2642

სოფიო გიგოლის ასული და შვილნი: შალვა, თამარი, ნინო და ქეთევანი მწუხარენი გულმწუხარებით აცნობებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას

იოებ ქრისტეფორის ძის მთვარელიძისას

პანაშვიდი გადახდილ იქნება დეკემბრის 29 საღამოს 6 საათზე. ჭავჭავაძის ქუჩ. № 25. გამოსვენება კალოუბნის ეკლესიაში დეკემბრის 30 დილის 10 საათზე დასაფლავებულ იქნება კუკიის სასაფლაოზე. 2648

კვირას, დეკემბრის 29-ს დღის 12 საათზე დანიშნულია ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

ვენეს (ვენ სონის)

სულის მოსახსენებლად. რასაც მწუხარებით აუწყებს ვენეს ამხანაგებს მეგობრებს ეკატერინე დიმიტრის ასული ტყემალაძისა. დაკრძალვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. 2647

სიკო და ქეთო გივიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს, რომ გმირულად მოკლულის სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე სომხების ტყვიით განგმირულ დაუვიწყარ მამის დის შვილი სახალხო ცხენოსანთა გვარდიის კორნეტ

მიშა შენგელიას

გამოსვენება მოხდება დღეს დეკემბრის 29 დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან (როზოვოი ქუჩა № 2) წმ. მარინეს ეკლესიაში დასაფლავებული იქნება წმ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2619

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: თეიმურაზ ალმასხანის ძე და მელანია ვახტანგის ასული, ძმები დავით და კონსტანტინე, დები პისტი ჯაყელისა და ბარბარე ასათიანისა, რძალი ბაბულია ფარნაოზის ასული და სიძე კონსტანტინე პავლეს ძე ასათიანი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სანაინთან ვერაგ მტერთან ბრძოლის დროს დეკემბრის 9 მოკლულ იქნა კავკასიის პირველ ცხენოსანთა ასეულის კორნეტი

ლუკა თეიმურაზის ძე აბულაძე,

რომლის გამოსასვენებლადაც მიღებულია ზომები. და ქალაქ ქუთაისში ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას,

მარო (ნარო) თეიმურაზ აბულაძის ასულის

რომლის ქუთაისიდან წასვენება გურიაში მოხდა პარასკევს, დეკემბრის 27-ს (ახალი სტ.) დასაფლავება დეკემბრის 31-ს დღეს სამშაბათს. 2650

საარტილერიო არტილერიის ბრიგადა ამით აცხადებს, რომ კვირას, დეკემბრის 29-ს, ა/წ. შუადღის 1 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში მე-7-ე ბატარეის უფროსის იმავე ბრიგადის

იასონ მელიტონის ძე გრიგოლიას

სულის მოსახსენებლად, რომელიც მოკლულ იქნა სოფელ ახტალასთან მტერთან შეტაკების დროს. 265

არტისტიული საზოგადოება

ხუთშაბათს, იანვრის 2-ს ქართული სტუდიის მიერ წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის

ღალატი

წმინდა შემოსავალი გადაიდება ქართველ მეომართა საშობაო საჩუქრებისათვის.

რეჟისორი გ. ჯაბადარი. 1465 ადმინისტრატორი მიხ. ხერხეულიძე.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

დემ. კლ. არს. ქარ. წ. რ. მმარ. წრე.
კვირას, 1918 წლის დეკემბრის 29-ს

ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულ ღარიბ ოჯახების სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება:

სამშობლო

დრ. 5 მოქ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 6 საათზე
რეჟისორი: პ. ფარნგიშვილი. 2645 ქარ. წარ. მმართ. წრის გამგეობა

სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 1919 წ. იანვრის 1-ს, საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის და სახელმწიფო თეატრის თაოსნობით სამშობლოს დამცველ მეომართა პატივსაცემად და სასარგებლოდ გაიმართება

დიდი მხატვრული საღამო

პროგრამა

სამუსიკო ლეგენდა ბალეტით (კეთილ და ბოროტ სულთა ბრძოლა) 1 მოქ. კ. ფოცხვერაშვილისა სიმფონიური და სასიმღერო განყოფილება ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებთაგან.

ბალეტი სახელმწიფო თეატრის რჩეულ მოცეკვავეთა ანსამბლით.

მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის, სამუსიკო საზოგადოების და მსახიობთა კავშირის საუკეთესო ძალები.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. გამგე საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1470 „აკიშები“ არ გაიცემა

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალ. სახ. სახლი

სახ. სახლ. არს. ქართ. წარ. მმართველი წრე

სამშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 31-ს, წარმოდგენილი იქნება: პირველად ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული

მოსე მწერალი

დრ. 4 მოქ. გრ. საქარ-ქედელისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ანტუანეტა, ე. ბარათაშვილისა, ე. იანქოშვილი, ნ. მამულაშვილი ბ.ბ. ვ. არაბიძე, ე. თალაკვაძე, ა. ივერელი, ა. თაყაიშვილი, ი. რომანიშვილი, ი. მინდიაშვილი, ბ. მამაკახოვი, ი. სალაყაია, სამხარაძე, ფირიაშვილი.

რეჟისორი ივ. ბარველი. 2646 დასაწყისი საღამოს 6 ნახ საათზე.

განცხადება

გორის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს ერობის სამსახურში: მოსამართლეებს, აგრონომებს, ექიმებს, ბეითლებს, სტატისტიკოსს, ბუხჰალტერს და ტექნიკოს—ინჟინრებს, მსურველებმა უნდა მიმართონ გამგეობას წარმოადგინონ საქმრო ცნობები და მოკლე curuculum vitae.

2642 გამგეობა.

ტფილისი, დეკემბრის 29.

ქალაქ ტფილისის ძველი ქალაქის ხმოსნების ვადა ამ დღეებში გათავდება. 1919 წლიდან ტფილისის მცხოვრებლებმა უნდა შეადგინონ ხმოსანთა ახალი საბჭო, რომელიც ფაქტიური ბატონ-პატრონი დარჩება ქალაქ ტფილისისა.

ეხლა ვერ გამოუდგებით იმის გამოძიებას, თუ რა გააკეთა ძველმა საბჭომ ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ ვინ დაივიწყებს, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია და ამ ყურადღებით მუდამ, სისტემატიურად ხელს უშლიდა საქართველოს კეთილდღეობას. როცა ამას ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში გვყავს საბჭოს ის ბლოკი, რომელიც შეადგინეს მემარჯვენე კადეტებმა საქართველოს მტრების — დაშნაკცაკანების, რუს ე დეკების და რუს-სომეხ სოციალისტ-რევოლიუციონერების ძალებმა. ამ ბლოკის შეუწყნარებლობამ იმ ზომამდეც კი მიაღწია, რომ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ამ ბლოკის ზოგიერთი წევრისათვის ციხის კარებიც დაენახვებინა მავნე პოლიტიკური მოქმედებისათვის.

წარსულ არჩევნების დროს ჩვენ განსაკუთრებით ჩავჩიჩინებდით ქართველ ხალხს: ტფილისის საბჭოში ხმა მიეცით არა მარტო დემოკრატიულ ხმოსნებს, არამედ ტომობრივ პრინციპის მიხედვით ქართველ დემოკრატიას, ვინაიდან ყოველთვის ვამბობდით: საქართველოს ინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ დაიცავს საქართველოს და ქართველი დემოკრატია. განა ეხლა ყველამ არ იცის, რომ ჩვენი მაშინდელი ღაღადისი სრული ჭეშმარიტება გამოდგა? განა დღეს ყველა არ ხედავს, რომ ტფილისის ქალაქი უზრუნველყოფილი არ იქნება თუ ხმოსნობის უმრავლესობა არ დაურჩება ქართველ დემოკრატიას?

დღეს ამ პოლიტიკაში ორჭოფობა არა ის ეპატიება, მთელი ქართველობა უნდა შემოკრბეს ქართველ პარტიების გარშემო და ქალაქის საბჭოს ნაციონალიზაცია უდავო და უეჭვო გახადოს.

ჩვენ ვიცით, რომ ეხლანდელი საბჭო სრულებით აღარ შეეფერება ტფილისის მცხოვრებთა სახეობას. რევოლიუციის შემდეგ ტფილისში ბუნებრივად თავი მოიყარა რუსეთში გაფანტულმა ქართველ ერის ძალებმა და დღეს ტფილისში უმრავლესობა ქართველობას აქვს. ამ დღეებში რომ აღწერა მოხდება მცხოვრებლების—ის სავსებით გამოაშკარავებს ტფილისის ნაციონალურ ელფერს და მაშინ ბოლო მოეღება იმ სტატისტიკოსების და ავანტიურისტების ღაღადისს, რომელნიც ტფილისის ინტერნაციონალიზაციას მოითხოვენ ტფილისში უცხო ერების სიმრავლის გამო. ჩვენს მტრებს რომ სალსარი მოუსპოთ ასეთი ავანტიურისა და ყველას, როგორც ჩვენებს, ისე უცხო სახელმწიფოებსაც დავანახოთ რომ ტფილისი დღესაც ეთნოგრაფიულად ქართული ქალაქია, საჭიროა ყოველმა ქართველმა აღწერაში მონაწილეობა მიიღოს, ქალაქის მოანგარიშეებს, რეგისტრატორებს, რო-

მომავალ დღესასწაულებისთვის

დამზადებულია დიდძალი ახალი: შავი, ლურჯი, თეთრი და სხვა ფერის ტანისამოსი—აბრეშუმისა 700 მანეთიდან და თბილი—280 მანეთიდან აგრეთვე აბრეშუმის იუბკები—380 მ. და თბილი—150 მ. და აბრეშუმის ბლუზები 150 მ ელი
საბედის ქ. № 77, ბინა 3, შესავალი ეზოდან. 2651

წიგნის გამომცემლობა „სკოლა" (ქუთაისში)

გამოვიდა ახალი გამოცემანი:

1. გერმანული ენის სახელმძღვანელო 1 კლასის კურსი ლექსიური განყოფილებით, ანბანით, საკითხავი მასალით, გრამატიკით და ლექსიკონით, მრავალი სურათით შემკული, შედგენილი გ. ხითარიშვილის მიერ 112 გვ. ფ. 5 მან.
2. „მნათობი" ახალი ქართული ენის სახელმძღვანელო ანბანს შემდეგ სკოლაში სახმარებელი, მრავალი სურათით შემკული, შედგ. ი. ოცხელისა, ს. ყიფიანისა და დ. იყურეშიძის მიერ 144 გვ. ფ. 6 მ.
3. ქართული კედლის კალენდარი 1919 წლისა მშვენიერად გამოცემული ფ. 7 მან.

მისამართი: ქუთაისი, ტფილისის ქუჩის შესახვევი, ი. ოცხელის სახლი. 2671

საზოგადოების საყურადღებოდ

უფრთხილდით სიყალბე! უკანასკნელ ხანებში ძლიან გავრცელდა ყიფიანის [illegible] ღვინის მაგივრად, რომელსაც მრავალი ჯილდო მიუღია გამოფენებზე და რომელიც რაჭის მაზრიდან არის ლ. და დ. ყიფიანების მამულიდან—ჰყიდიან ყალბ, უბრალო ღვინოებს. ამით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ნამდვილი ყიფიანის ღვინის საწყობი არის ქუთაისში
საწყობის მწარმოებელნი ნ. ტ. წერეთელი და ვ. ხარდ ბაპუაშვილი. 2629

ქართველო ვაჭრნო და მრეწველნო!

თქვენი სამშობლო განსაცდელშია. უდიდესი ხიფათი მოელის თქვენს ერს, თქვენს მამულს, თქვენს თავსა და ოჯახს. ყველა ქართველი ვაჭარი და მრეწველი მოვალეა ყველაფრით დაეხმაროს მთავრობას ომის საქმეში და თვისი ვალი მოიხადოს წინაშე სამშობლოსი.

ტფილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობამ იმსჯელა ამის შესახებ და დაადგინა: 1. შეგროვილ იქმნეს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის 10 მილიონი მანეთი; 2. დაიყოს საქართველო ვაჭართა რაოდენობის მიხედვით რაიონებად და თითო რაიონს გაეწეროს ხვედრი თანხა; 3. ფულის გადახდა ყველასთვის სავალდებულოა: 4. შეგროვილი ფული უნდა შეტანილ იქმნეს ამიერ-კავკასიის ან სამეურნეო ბანკებში ტფილისში.

ფულის შემკრები მთავარი კომიტეტი. 1467

კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ გზისთვის საჭიროა 1000 ფ. ხორბალი და 2000 ფ. სიმინდი. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კახეთის რკინის გზის სამმართველოში (ელისაბედის ქ. № 73) სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ლეჟავასთან 9—3 საათ. ტელეფონი № 7—50. 1460

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1919 წლის იანვრის 1-დან იგი გამოსცემს კვირაში ერთხელ

„კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს"

კრებული ოფიციალური გამოცემაა და შიგ მოთავსებული იქნება ყველა კანონი, მთავრობის განკარგულებანი ზოგადის ხასიათისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებანი.

საქართველოს პარლამენტის მიერ ამა 1918 წლის ოქტომბრის 11-ს, „კანონთა გამოქვეყნების" კანონით, ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდის დღის შემდეგ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში" გამოქვეყნებიდან.

წესდებანი სხვა და სხვა სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებისა დაიბეჭდება „კანონთა კრებულის" მეორე ნაწილში ცალკე მორიგებითა და საფასურით.

წლის დამლევს კრებულს დაერთვის სამნაირი ვრცელი საძიებელი: ანბანზე დაწყობილი—საგნობრივი, ქრონოლოგიური და სისტემატიური.

„კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული" ეღირება წლიურად მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეთათვის 30 მ. კერძო ხელის-მომწერთათვის 40 მ. ქ. ტფილისში, ხოლო პროვინციაში გაგზავნით—50 მ.

თითო ნომერი კრებულისა ცალკე იქნება შეფასებული.

ამა 1918 წლის მაისის 26-დან 1919 წლის იანვრის 1-მდე გამოცემული კანონები უკვე იბეჭდება და სარჩევით ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.

ხელის მოწერა მიიღება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში რომლის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს ფული საქართველოს სხვა და სხვა ადგილიდანაც.

მისამართი: იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება ქ. ტფილისში, სასამართლო დაწესებულებათა შენობაში. 1469

ელნიც ბინებს დაივლიან მცხოვრებთა აღსაწერად, სრული ცნობა მისცენ, რომ ეხლა გავიგოთ თუ რა ძალას წარმოადგენს ჩვენში ქართველობა.

მამულიშვილური მოვალეობაა არავინ დარჩეს აღუნიშვნელი, არავინ გამორჩეს სიას, რომ შემდეგ ქალაქის ხმა ქონდეს საბჭოს წევრთა შესადგენად. ვისაც ესმის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და ეროვნული მნიშვნელობა ტფილისისა და ხმოსანთა არჩევნებისა ის ეხლა მხურვალედ უნდა მოეკიდოს ქალაქის საქმეებს და აღწერიდანაც გამოვაჩინოთ ჩვენი დიდი ინტერესი ქალაქის საქმეებისა და ცხოვრებისადმი.

იარაღი

თანამედროვე ცხოვრება კალაპოტს ჯერ ჰპოულობს. მსოფლიო ომი თითქოს გათავდა ოფიციალურად, მაგრამ მშვიდობიანობა არსადა სჩანს. როგორც [illegible] და როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი დროის საზოგადოებრიობა მარტო გარეგნულს სიმტკიცეს არაა მოკლებული, თვით შინაგანი მისი აგებულობა შეირყა და წინანდელ ფარგლებში აღდგენა, წინანდელ საფუძვლებზე დამყარება დღეს შეუძლებელია. დღევანდელს ურთიერთობას როგორც შიგნით ისე გარეთ ესაჭიროება ძირითადი გარდაქმნა, და ფრიად მოსტყუვდა, ვისაც ეგონა, რომ გარეგნული ომიანობა ამოსწურავდა ყველაფერს და მისი დასრული ქნებოდა დასაწყისი მშვიდობიანობისა.

მრავალია იმის მიზეზი—პოლიტიკური და სოციალური ხასიათისა, რომ აწინდელი საზოგადოება უნდა დაინგრეს. საერთაშორისო ომმა დააჩქარა ეს ნგრევა, დაიწყო, ხოლო აწ მის ხელთ არაა მისი შეჩერება და რაც უნდა ზომები იხმარონ დღევანდელმა ბატონებმა, მათ ძალუძთ მხოლოდ დაბრკოლება, დროებითი შეჩერება საზოგადოებრივი გარდაქმნისა. საგარეო ომი ნელდება, მაგრამ იწყება სამოქალაქო ომი. იწყება ახალი დარაზმვა და დანაწილება მებრძოლთა და თუ დღეს მარტო რუსეთის და გერმანიის სოციალისტებმა ააფრიალეს წითელი დროშა, ხვალ და ზეგ ასეთი ამბები თავს იჩენენ სხვაგანაც.

მთელი ევროპა, მთელი ქვეყანა ემზადება ახალის ბრძოლებისათვის და ვინ იცის, ეგებ ეს ომი უფრო მწვავე შეიქნეს, ვიდრე იყო განვლილი ომი. მოსალოდნელია უფრო ძლიერი ცეცხლი, უფრო დიდი სისხლის ღვრა, და ვინც დღეს ბატონია და გამარჯვებული შეიძლება, ხვალ ძირს დაეცეს, ვინც დღეს მტერია, შეიძლება ხვალ დაუმეგობრდეს იმას, ვისი საწინააღმდეგოდაც ახლა ხმალს ლესავს. ამ ახალი გადაჯგუფების და მოსალოდნელი ომიანობის დროს განსაკუთრებით საბედისწერო პატარა ერების მდგომარეობა. უკვე ნიშნებია იმის, რომ გამარჯვებული სახელმწიფოების იმპერიალისტებმა გაინაწილეს მცირე ერები და დაუმორჩილეს თავის „გავლენის სფეროებს." თითოეული მათგანი შეეცდება იმსახუროს პატარა ერი, როგორც ზარბაზნის ხორცი, როგორც სასროლი მასალა. გაიმართება მეტად დახლართული დიპლომატიური მოლაპარაკება და ზერქმედება, გააბმენ ურთულეს ქსელებს, ათასნაირად გადაკვანძავენ პირობებს, რომ პატარა ერებს ჩაუკლან ნებისყოფა და თავისუფალი არსებობა. სიცრუე, სიყალბე, მუქარა, — ჩვენს ნორჩს რესპუბლიკას, ჩვენს ეხლახან აღდგენილს ერს ჰმართებს ფხიზლად გაითვალისწინოს ყოველივე ეს და ერთის წუთის დაუყონებლად შეუდგეს მზადებას მოსალოდნელ მძიმე ვითარებისათვის. ხიფათი და განსაცდელი ჩვენის დამოუკიდებლობისა წინაა! რაც ჭირი და უბედურება განვლეთ, შეიძლება მოსაგონარი არ იქნეს იმასთან შედარებით, რასაც მომავალი, ახლო მომავალი გვიმზადებს.

თქმა არ უნდა, აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სულიერს სიმაგრეს, სიმხნევეს, ორგანიზაციას, წესიერს სახელმწიფოებრივ აპარატს, ზნეობრივ შეგნებას, სიმტკიცეს და საკუთარის ღირსების, თავის პატივისცემას. ვით სალი კლდე, ისე შეურყეველი უნდა იყოს ჩვენი დამოუკიდებლობის გრძნობა და ორგვითარს დათმობას და კომპრომისს ამ მხრით ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პირდაპირ ვიტყოდი, უსაშინელეს სახელმწიფოებრივ ღალატად და დანაშაულად უნდა იქმნეს გამოცხადებული უბრალო ფიქრი და ზრახვაც კი ჩვენი თავისუფალი არსებობის საწინააღმდეგო! არ უნდა შევიბრალოთ—ვინც უნდა იყოს, რომელიც გაბედავს სიტყვას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ! მხოლოდ სიკვდილი უნდა მოელოდეს ამისთანა მოქალაქეს!

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რა პირობებში ვცხოვრობთ. რა გვარტყია გარშემო—ძალმომრეობა, უხეში ფიზიკური ძალის ბატონობა, რომელსაც მარტო ერთის ჩვენის სულიერის სიმტკიცით ვერასოდეს გაუმკლავდებით. ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთ და ჩვენი სულიერი ენერგია უნდა გავამაგროთ ჩვენის შეიარაღებით, ჩვენის საომარ შემზადებით და დარაზმვით. უნდა დაუყონებლივ, სასწრაფოდ შემოვიკრიბოთ ყველა მებრძოლი და ყოველნაირად გავაძლიეროთ, გავწვრთნოთ ჯარი. ჩვენი ხსნა, ჩვენი გამარჯვება ჩვენი ჯარია და ჩვენი მთავრობის მთელი გულისყური ეხლა უნდა მიქცეული იქნეს ჯარისკენ! ყველაფერი შეგვიძლია დავთმოთ დღეს დროებით, მაგრამ რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევიარაღდეთ, უნდა შევქმნათ ძლიერი ჯარი!

ხმ. ფირცხალავა.

ძვირფასი ადამიანის ხსოვნას.

ერთი წლის წინად, დეკემბრის ცივსა და სუსხიან დღეს, ქართველ მოღვაწეთა სავანემ, დიდუბის მიწა-მშობელმა სამუდამოდ გადაახურა თვისი კალთა საუკეთესო მამულიშვილს, საქართველოს დიდ მოჭირნახულეს, ჩვენი ერის მშრომელი ხალხის ერთგულ მოამაგეს, მისთვის ტანჯულსა და წამებულს, ოქროპირს და უბადლო ადამიანს კიტა აბაშიძეს.

ამ დღეს, თითქოს განგებ, სტიროდა ტფილისის ბუნება.

დასტიროდნენ კიტას მეგობრები და ნაცნობები. შავად შეკრული და მოღუშული იყო ჩვენი ქალაქის ცა. და წარბშეკრული მისდევდნენ კიტას მისი პატივისმცემელნი.

ძნელია კიტას შესახებ მოგონების დაწერა იმათვის, ვისაც ბედმა მასთან დაახლოვება არგუნა და მისი ფაქიზი სულის ზრახვათა გაზიარება მიანიჭა. ძნელია მით უფრო, რომ ჯერ კიდევ არც ნავათაც არ დამცხრალა მისი მეგობრების გულის ის ღრმა ჭრილობა, მისმა უდროო და მოწამებრივმა სიკვდილმა რომ გამოიწვია...

მუდამ სპეტაკი დიდბუნოვანი კიტა თვის ადამიანურ შეცდომებშიაც მაღალი და უანგარო იყო. იგი თვის გარშემო თავს უყრიდა მისდამი უდიდესი სიყვარულით გამსჭვალულ ახალგაზრდობას, რომელიც რაღაც იდუმალ კავშირსა და ერთობას გრძნობდა თვისი კეთილი და მოსიყვარულე მოძღვრის მიმართ.

მისი ტკბილი, საუცხოო საუბარი, სადი და მომხიბვლელი მსჯელობა ყველას იზიდავდა, სმენად აქცევდა, ატყვევებდა....

კიტა უპირველესად ყოვლისა მშვენიერებისა და სილამაზის ჭეშმარიტი ქურუმი იყო. ამ სფეროში მას სიყმაწვილიდანვე აეგო ძვირფასი „ხელთუქმნელი ტაძარი", სადაც იგი გატაცებით ასრულებდა თავისებურ ღვთისმსახურებას და მასთან დაახლოვებულ მეგობართაც აზიარებდა მაღალ ესთეტიურ განცდას. და უნდა გენახათ, როგორის მოქარგულის, მხატვრული ენით გადაგიშლიდათ კიტა ის საზოგადოებრივი მოვლენის დახასიათებას, რომელიც მისი აზრით სილამაზისა და სიკეთის გამოხატულებად ჩაითვლებოდა. სამაგიეროდ თუ იგი მოვლენა სიბინძურისა და სიმახინჯის განსახიერება იყო, უნდა მოგესმინათ მაშინ კიტას ბასრი და მახვილი სიტყვა, ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ მიმართული.

ყველაზე უფრო კიტა ერთის გრძნობით, ერთი ფიქრით იყო გატაცებული, პირდაპირ ჭირვეული. ეს ფიქრი იყო დამონებული და პატივ აყრილი საქართველოს მონობისაგან განთავისუფლება, ქართველი ერის აღორძინება. „და ფიქრობდა ჩვენი კიტა: დადგება დრო, ქართველი მშრომელი ხალხი, წმინდა ეროვნული გრძნობით გატაცებული, შესძლებს ერის ტყვეობისაგან დახსნას და შექმნის პირობებს, ფართო პოლიტიკური და სოციალური რეფორმების განხორციელებისთვისო. ამაზე ოცნებობდა კიტა, ამის იმედით ცოცხლობდა იგი.

და როდესაც რევოლიუციის პირველი ნათელი დღეები ქუთაისშიაც ყველასათვის ფაქტი გახდა, კიტა გაბრწყინებული, დიდის სიხარულისგან აღელვებული ხალხს ყველგან ამ სიტყვებით მიმართავდა: მეგობრებო, ჩვენი ქვეყნის ქრისტეც აღსდგა, გოლგოთაზე ტანჯვით ატანილი წამების ჯვარი დღეს ცხოველმყოფელი სხივებით შეიმოსაო.

რა მიამზიდველი იყო ამ დროს კიტას სახე! მისი თვალები მხოლოდ დიდი ბედნიერების გამოთქმას ლამობდენ. საყოველთაო აღორძინება, განახლება, მკვდრეთით აღდგომა იწყებოდა და აბა საქართველოს ოქროპირს როგორ შეეძლო ხმა მაღლა, საჯაროდ არ გამოეთქვა თავისი აზრი. ცხადი იყო, ასეთი სიხარული და ბრწყინვალება მხოლოდ იმ სულს შეეძლო, რომელიც თავის წმინდა სწრაფვაში მართლაც მატარებელი იყო საერთო საერთო აღორძინების ძლიერი იმედისა...

მაგრამ კიტას ბედმა ის აღარ არგუნა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მოსწრებოდა, ცხადად შეემცნო ეს დიდი აქტი და დამტკბარიყო...

საშინელი წვალებით განშორდა იგი ამ წუთი სოფელს და სიკვდილის წინაც თვის დატყვევებულ „ნესტან დარეჯანზე" საუბრობდა...

ძვირფასო კიტა, ამიერიდან თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ვერ დაივიწყებს შენს დიდ ღვაწლს ერისა და ქვეყნის წინაშე და მშობელი მიწაც მეტის სინაზითა და სიყვარულით მოუვლის შენს ტანჯულ ძვლებს!

შენი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე შენი მეგობრებისათვის მუდამ იქნება საგნად მოგონებისა, ხოლო შენი სპეტაკი სული კი ამ ქვეყნიური ცხოვრების ეკლიანი გზის განმანათლებლად.

ალ. წერეთელი.

საქართველოს და სომხეთის ომი

მთავარ შტაბის ცნობა

დეკემბრის 29. გუშინ შულავერის რაიონში მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი მომქმედი ტყვიისმფრქვეველი, დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

ხონი

ხონის ხმოსანთა საბჭომ მოისმინა რა ქალაქის თავის მოხსენება დღევანდელ მომენტზე დაადგინა მიესალმოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას მის ძლევამოსილ ჯარისთვის გადასდოს 30,000 მანეთი მთავრობის დასახმარებლად, ხოლო 800 მანეთი ჯარისთვის საჩუქრების დასამზადებლად. საბჭო დარწმუნებულია, რომ ჩვენი დემოკრატიული მთავრობა შესძლებს ააცილოს საქართველოს დემოკრატიას კარზე მომდგარი მტერი. საბჭო თქვენთან ერთად არის.

გამგეობის თავმჯდომარე რუხაძე.

უკანასკნელი ცნობები

(საქ. დეპ. სააგენტო)

აზერბეიჯანში

ბაქო. დეკემბრის 28. აზერბეიჯანის რესპუბლიკაში შესდგა ახალი მთავრობა: მთავრობის თავმჯდომარე და მინისტრი საგარეო საქმეთა ხანხოისკი: შინაგან საქმეთა მინისტრი—ხას-მამედოვი; ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი—მირზა-ასადულაევი; ფინანსთა მინისტრი—აროტასიევი; სასურსათო მინისტრი—ლიზგარი; მიწათ-მოქმედების მინისტრი—უსუფ ბეკოვი; სამხედრო მინისტრი—მეხმანდაროვი; გზათა მინისტრი—მელიქ-ასლანოვი; სახელმწიფო კონტროლიორი და სახალხო განათლების მინისტრი,—გაჯინსკი; იუსტიციის მინისტრი—რაფიკურდსკი. განზრახულია სამი ადგილი მინისტრისა სომხებს დაეთმოს.

საქართველოს პარლამენტი

პარასკევი, დეკემბრის 2, სხდომა.

კრება იხსნება 1 ნახ. საათზე.

თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.

მდივანი კითხულობს დღიურ წესრიგს.

ს. ფირცხალავა და **რ. არსენიძე** კითხულობენ წინა კრებაზე მიღებულ კანონების საბოლოო ტექსტს.

მე-2 კ.-პრ. სამოქალაქო უქმეებისა

ა. კიკვაძე (მომხსენებელი). დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი უქმე დღეები უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე მაგრამ უქმე დღეების განსაზღვრაში ახალი სტილით ერთგვარი უხერხულობა დაიბადა. ჩვენს ეკლესიას უქმეები სეპარატიულად შეცვლა არ შეუძლია, ეს მსოფლიო კრების საქმეა. მასთანავე ეს საკითხი დაკავშირებულია იმ დიდ კითხვასთან, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა. ამიტომ შეერთებულმა კომისიებმა სამოქალაქო უქმე დღეები გამოყო საეკლესიო უქმეებისაგან და გარკვეულ კანონ-პროექტის სახით წარადგინა პარლამენტში დასამტკიცებლად ხოლო საეკლესიო უქმე დღეები უნდა დროებით განისაზღვროს [illegible] სანამდი ჩვენი ცხოვრება [illegible] კალაპოტში არ ჩამოყალიბდება. (კითხულობს კანონ-პროექტს.)

აკ. ფაღავა (ს.-ფ.) ვინაიდან პარლამენტი არის უზენაესი საპარლამენტო ორგანო მთელი ხალხის უფლებებით აღჭურვილი მას აქვს სრული უფლება დაკანონოს საეკლესიო უქმეებიც მით უფრო რომ ასეთ უქმეების განსაზღვრას აქვს ფორმალური მნიშვნელობა და არა არსებითი. ჩვენ ვიცით, რომ ე. წ. ძველი სტილი ყალბ ნიადაგზედ არის აგებული და ამის მოსასპობად საჭირო არ არის მისი შორეული დროისათვის გადადება.

მ. მაჩაბელი (დ. ნ.-დ.) ილაშქრებს სოციალისტების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ურჯულოებს (სოციალისტებს) სურთ თავიანთი ურჯულოება ხალხს, უმრავლესობას მოახვიონ თავზე.

ი. თევზაძე (ს.-რ.) კანონ-პროექტი მისაღებად მიაჩნია.

რ. გაბაშვილი (დ. ნ.-დ.) წინააღმდეგია რუსეთის რევოლიუციის უქმე დღის კანონში შეტანისა.

ლ. ნათაძე (ს.-დ.) ბ. გაბაშვილ იმ კლასის წარმომადგენელია, რომელსაც რუსეთის რევოლიუციამ ჩამოართვა მამულები და გასაკვირველი არ არის რომ ის ამ რევოლიუციის წინააღმდეგია. საქართველოს დემოკრატია მოვალეა იდღესასწაულოს ის რევოლიუცია, რომელსაც ჩვენთან ყველაზე უფრო ახლოი და პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენს არსებობასთან (ტაში).

მომხსენებლის პასუხის შემდეგ კანონ-პროექტი პარლამენტმა უცვლელად მიიღო.

მე-3 კ.-პრ. მიწათმოქმედების სამინისტროს შტატისა

მოხსენებას აკეთებს დ. ონიაშვილი. მცირე კამათის შემდეგ კანონ პროექტი დაამტკიცა პარლამენტმა პ. გელეიშვილის (მიწ. მინ. ამხ.) მცირე შესწორებით, რომელიც შუამდგომლობდა, რომ ქუთაისის იურისკონსულტს მისცემოდა თვეში 900 მან.

სამხედრო მინისტრის სიტყვა

რიგს გარეშე სიტყვას ღებულობს სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე. ბატონებო! ორიოდე სიტყვით მინდა მოგახსენოთ, თუ როგორ პირობებშია დღეს დღეობით ჩვენი საომარი [illegible]დება. ამ ორი დღის განმავლობაში სახალხო გვარდიამ მძიმე ბრძოლის შემდეგ დაიჭირა ორი რაიონი მარჯვენა

არიზე (ტაში). მარცხენა ფრონტზე ეს ი დღეა სასტიკი ბრძოლა სწარებს: აქ ერთი ადგილი ერთის ხელიან მეორეში გადადის. მაგრამ იმედი აქვს, ბოლოს ჩვენ გავიმარჯვებთ. ჯას განწყობილება მშვენიერია; გვარაც თავგამოდებით იბრძვის. ჩვენ იმეი გვაქვს, რომ ამ ორი შეერთებულის ლით საგრძნობელს გამარჯვებას მიღწევთ ფრონტზე და მტერს დავანახებთ ჩვენს სიძლიერეს. უფრო დაწვრილებით ემზოდებ! ფრონტიდან ახლად ბრუნებული ამხ. ჯუღელი გადცემს. (ტაში). მობილიზაცია ჯეენულად ჩატარდა. იმ რაიონებიდა, სადაც ჩვენ ეჭვი გვქონდა, მოხასეები ბლომად არიან! დგება ცალლკე რაზმები და ბრძოლის ველზე ეშურებიან ხალხში დიდი აღფრთონება და სურვილია გამარჯვების. შინ რჩენილნი ცდილობენ დახმარება აღუჩინონ შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებას. მაგრამ საჭიროა კერძო ინიციატივის გაფართოება. საჭიროა ყველა კერძო დაწესებულებამ ახლო მოიტანოს თავისი მოქმედება ფრონტთან ა დაეხმაროს ჩვენს მეომრებს, როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივადაც. ჯარმა უნდა გაიგოს, რომ მას ზურგს უმაგრებს საზოგადოება. აქ მოყავთ დაჭრილები, ამას უნდა მიაქციო არსებითი ყურადღება და შესაფერისად მოაწყ რიგონ დაჭრილთა საქმე. არის კიდევ ერთი გარემოება: ისინი, ვინც მში იღუპებიან და სიცოცხლეს სწირავენ ხალხის ინტერესებს, უნდა გრძნობდენ, რომ მათი ცოლ-შვილი იქნებიან უზრუნველყოფილნი. პარლამენტმა დეკლარატიურად უნდა განაცხადოს ეს, უნდა გააგებინოს ჩვენს ჯარს, რომ ის უზრუნველყოფს მათ ცოლ-შვილს. ახ. ლო-მომავალში მთავრობა ამის შესახებ შემოიტანს კანონ-პროექტს. დღეს ჩვენი ჯარი მხნედ დგას თავის პოზიციებზე და გვწამს რომ ამ დიდ საპასუხისმგებლო საქმეს პირნათლად შეასრულებს (ტაში).

ვ. ჯუღელის სიტყვა

ტრიბუნაზე ადის ფრონტიდან ახლად დაბრუნებული ვ. ჯუღელი, რომელსაც პარლამენტი მხურვალე ტაშის ცემით ეგებება.

მოქალაქენო! მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველს თქვენგანს აინტერესებს ბრძოლის მიმდინარეობა, მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება; მე გადმოგცემთ, რომ ჩვენი დემოკრატია ამ ბრძოლის ველზე გაიმარჯვებს (ტაში) ამის დამამტკიცებელია დეკემბრის 19 ბრძოლა, როდესაც მტერმა ჩვენი ბატარეია ხელში ჩაიგდო. ეკატერინეფელდში. ჩვენმა მოწინააღმდეგემ ისარგებლა ბნელით და დაიჭირა მაღლობები, რამ მან არ იცოდა, რომ აქ ჩვენ მა ლი რაზმი მოუვიდოდა. გაცხარებული ლის შემდეგ მტერმა შესძლო ჩვებატარეიის შემოვლა და ხელში ჩადა. ყოველი ჩვენი გვარდიელი აღეამ გარემოებამ და ისინი დიდის თით წამოვიდნენ ბატარეის დასანელად. მიუხედავად იმისა, რომ მტე ჩვენზე დიდად მეტი რიცხოვანი ჩვენმა გვარდიამ 3—4 საათის ძოლის შემდეგ საშინლად დაამარცხა ერი. ასეთმა გამარჯვებამ დიდი აღთოვანება შექმნა ჩვენს მებრძოლში. და თუმცა ჩვენ სოციალისტები მდ გნი ვართ საერთოდ ომისა, რამ ხშირად ეს ომი აუცილებელი ბი დემოკრატიის ინტერესების დასათვის, და ჩვენის ჩავებით ამ ომში ნი ხალხის თავისუფლების განსამტკიბლად და შესანარჩუნებლად, გვწამს, ახალ ჯარისა და გამოწვრთნილი ის შეერთებული ძალა შესაფერს ჯვების აჩვენებს ჩვენს დემოკრას ამ მუხანითურად დაწყებულ ომში ი). როდესაც ჩვენ დეკემბრის 19 ბრძოლაში მტრის ხელმძღვანე ჩავიგდეთ ხელში აღმოვიჩინეთ ლებო დოკუმენტები სომხეთა სა. მაშინ როდესაც ჩვენ ჯერ მშვიდობა მოლაპარაკებას ვადით და განვიდოდა მშვიდობიასრულებაზე არ მეზობელ ის ამტყდარი დავა, სომხეთი ა მუხანათურად ომს გვიმზაა თავის ჯარს ბრძანებას აძ ტევაზე გადასულიყო საქარ ჯარის წინააღმდეგ და სანამ მთელად ხელში არ ჩაიგ ნს ჯარი. და აი ასეთმა მომა პოლიტიკამ აგრძნობინა ჩვენს ტიას სომხეთის მუშტი, რომე ბადგურებას უმზადებდა მას. მუხა ომხეთის მთავრობისა იქამდე რომ ის ჯართან ერთად მშვიდო ხსაც ითხოვს ომში, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებას. ეს ხალხი დაიჩაგრა ამ ომში. ჩვენ არა ერთხელ გვინახავს მოხუცნი, რომელნიც ზიზღით იხ'ენებდნენ სომხეთის მთავრობას და აღნიშნავდნენ, რომ მათი მიზეზით ჩავარდნენ ისინი ამ პირობებში, თორემ აქამდე მშვიდად სცხოვრობდნენ ქართველ ხალხთან ერთად. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით აჯანყებულ ხალხთან მშვიდობიანად გაგვეთავებინა საქმე, მაგრამ სადაც სიტყვა არ სჭრიდა იქ ტყვია უნდა აგვემეტყველებია. ასე მოხდა დაგეთ-ხაჩინში და შულავერში. 3 დღის ბრძოლამ დაგვანახა რომ დაგეთ ხაჩინში მტრის ხელი ფართოდ იყო გაშლილი და საფრთხეს უმზადებდა ჩვენს სამხარ მოქმედებას. ამ ბრძოლაში მტერს დავატოვებინეთ მრავალი სამხარი მასალა. აქ ჩვენ რამოდენიმე კაცი მოგვიკლეს და 25 დაგვიჭრეს.

შულავერის გარშემო დღეს სასტიკი ბრძოლა სწარმოებს, სადაც ჩვენი ახალგაზრდა ჯარი და ბრძოლაში გამობრძმედილი სახალხო გვარდია, რომელთა შორის არ არის არავითარი განსხვავება, პირის პირ დგას მტრის წინააღმდეგ და ჩვენ გვწამს, რომ ეს ორი სამხედრო ძალა ჩვენს ხალხს საერთო გამარჯვებას არგუნებს. დღეს გაორკეცებულის ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ, და არამც და არამც არ შევჩერდეთ, ჩვენი სამხედრო მოქმედება, და უფრო გავაღრმავოთ იგი—(ძლიერი ტაში). საჭიროა ყოველი ცოცხალი ძალის დაგროვება, ვინაიდან თითოეულს მებრძოლს დღეს მეტის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, და მისი მტრის საწინააღმდეგოდ დაპირისპირება. უცილებელია აგრეთვე საზოგადოების დახმარება და მჭიდრო კავშირი ფრონტთან. თუ ჩვენმა მეომრებმა იგრძნო ის ის სითბო, რომელსაც ჩვენ შევქმნით ირგვლივ ჩვენი ჯარი და სახალხო გვარდია სრულს გამარჯვებას მოგვანიჭებს (ძლიერი ტაში).

გრ. გიორგაძე. (სამხედრო მინისტრი) შემოაქვს დეკლარატიული განცხადება: პარლამენტი უზრუნველყოფს ომში დახოცილ გმირთა ცოლ-შვილს (მიღებულია ერთხმად. საერთო ტაში).

ინგლისური პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

რუსეთი და მოკავშირენი.

რეიტერის სააგენტოს სარწმუნო წყაროებიდან აუწყებენ, რომ რუსეთის საკითხს მოკავშირენი დიდ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ არავითარ ზომას არ მიიღებენ, ვიდრე პრეზიდენტი ვილსონი არ განიხილავს ამ საკითხს. ნათელია, რომ რუსეთის პრობლემის გადაწყვეტა საჭიროა და გადადება შეუძლებელია. ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს საკითხი ლონდონში გაირჩეს პრეზიდენტ ვილსონის თანადასწრებით, რათა დაჩქარებით გამოირკვეს მდგომარეობა

ფრანგული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ჩეხიაში.

პრაგიდან იუწყებიან: პრეზიდენტმა მაზარიკმა ეროვნულ კრების საზეიმო სხდომაზე პირველი მოხსენება წაიკითხა, პრეზიდენტმა მოაგონა კრებას, რომ ჩეხო სლავაკთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ომის შედეგია. მოხსენების ბოლოში მაზარიკი დაბეჯითებით მოითხოვდა მეგობრული კავშირი დაეჭირათ დანარჩენ ერებთან განსაკუთრებით პოლონეთთან.

ბანატის ოკუპაცია. სალონიკიდან იუწყებიან, სერბიის და რუმინიის ჯარები ერთი-მეორეს არ შეეხებიან ბანატში და ტემეშვარის ოლქში, სადაც მცხოვრებნი შერეულნი არიან. მიღებულია ზომები, რომ ტემეშვარ ვერშეცის რკინის გზის აღმოსავლეთით 10 ვერსის სიშორეზე მდებარე ხაზის გასწვრივ საფრანგეთის ჯარი ჩადგეს.

გერმანული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

ბერლინში.

დეკემბრის 24 მთავრობის ჯარისა და სახალხო საზღვარ დივიზიის შორის ბრძოლის დასრულების შემდეგ შობის დღესასწაულმა ბერლინში სრულიად წყნარად ჩაიარა.

ბოლშევიზმთან საბრძოლველად ბერლინში შესდგა უპარტიო პოლიტიკური კავშირი, რომელიც თავის მთავარ მიზნად ისახავს ყოველგვარ ტერორთან ბრძოლას.

სანდო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სახალხო კომისართა საბჭოს ჯერ არავითარი სავალდებულო დადგენილება არ მიუღია მადარეობის და სხვა სამრეწველოების მოსალოდნელ სოციალიზაციის შესახებ.

სამხედრო ტყვეები.

გერმანიის წითელი ჯვრის სამხედრო ტყვეებზე მზრუნველმა რაზმმა თხოვნით მიმართა ჟენევის საერთაშორისო კომიტეტს, შუამდგომლობით მიმართოს ამერიკის წითელ ჯვარს, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ ზომები მიიღოს სამხედრო ტყვე გერმანელების და დაკავებულ მოქალაქეთა, განსაკუთრებით რუსეთში მყოფთა, ეხლავე დასაბრუნებლად და მათ დაბრუნებამდე იზრუნოს მათ მძიმე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ახალშენი ტოგო.

„ნოი-ვინერ-ტაგებლატ“-ის პარიზის კორესპოდენტს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ შეთანხმების სახელმწიფოებს განზრახვა აქვს ყოფილი გერმანიის ახალშენი ტოგო ჩიხელებს გადასცეს.

სლავიანები რეინზე.

კლაგენფურტში ცნობაა, რომ სამხრეთის სლავიანები გერმანელების რეინის ოლქში შეჭრილან გრანიც ტალთან, გრანიცბერგთან და ბირნბაუმთან.

ახალი ამბავი

◆ **კიტა აბაშიძის პანაშვიდი** გადახდილ იქნება დღეს, დიდუბის ეკლესიაში შუადღის 12 ს. ამხანაგებს მოუწოდებთ დაესწრონ და პატივი სცენ ჩვენს საუკეთესო თანამებრძოლის ხსოვნას.

◆ **გუშინ, დღეს, ხვალ ტფილისის საქალაქო არჩევნებისათვის აღწერა ხდება. ნუ დაჰკარგავთ საარჩევნო ხმას. თვალყური ადევნეთ ყველა ქვეშევრდომი საქართველოს რესპუბლიკისა შეტანილ იყოს სიაში**

◆ **ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე დამთავრდა გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე. შმაგაილოვსა და კუჩარიანცს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა დახვრეტით. მესამე ბრალდებული კიურნიულიანცი გაანთავისუფლეს.**

◆ **ფრონტის დამხმარე კომიტეტი.** გორის სამაზრო ერობის გამგეობასთან არსებული მოუწოდებს მოქალაქეთ დაეხმარონ საქართველოსათვის მებრძოლთ ფულით, სურსათით, საცვლებით, თუთუნით, წუმწუმით, საპნით, ჩაი-შაქარით და სხვ.

◆ **მობილიზაცია.** გენერალ-გუბერნატორს სხვა და სხვა მაზრიდან მოსდის დეპეშები, რომ მობილიზაცია აჩქარებული ტემპით სწარმოებს.

◆ **სომხები რუსთა ქვეშევრდომებად.** გენ.-გუბერნატორის ცნობით მრავალი სომხები რუსთა ეროვნულ საბჭოში ეწერებიან რუსეთის მოქალაქეებად და რის მოწმობებსაც უდგენენ ისინი. გენერალ-გუბერნატორი აცხადებს, რომ ის მოწმობები, რომლებიც დეკემბრის 25 შემდეგ არის მიცემული არ იქნება მისგან მიღებულნი.

◆ **შემოწირულება.** ქალთა მე-6 გიმნაზიამ შესწირა ქართველ მეომართა სასარგებლოდ სხვა ნივთებთან ერთად ფულად 1122 მან. და 83 კაპ.

◆ **ლექცია.** დღეს 12 ს. ქალთა მე-6 გიმნაზიაში ბ. ლ. შენგელაია წაიკითხავს უფასოდ ლექციას ხალხურ პოეზიიდან.

◆ **მგოსანი სანდრო შანშიაშვილი** ჯარის კაცად ჩაეწერა ბათომის პარტიზანულ პოლკში.

◆ **უწესოება ტელეგრაფში.** გუშინ ერთი ჩვენი თანამშრომელი ტელეგრაფის მთავარ სადგურზე მივიდა მეთერთმეტე საათზე, მაგრამ დეპეშათა მისაღებ კანტორასთან არავინ იყო და არც მოსულა კარგა ხანს. ამ დროს შემოვიდა ერთი ტფილისელი ვაჭარი, შემოიყვანა უფროსი მოხელე, რომელსაც საყვედურით ეუბნებოდა ნახევარი საათია დეპეშა მოვიტანე, მაგრამ მიმღები ვერავინ ვნახეო. იმანვე განაცხადა: ამას წინად გურჯაანში დეპეშა გავგზავნე ქართულად, სამი დღის შემდეგ თვითონ მივედი გურჯაანში და დეპეშა ჩემს მერე მოვიდა და ისიც რუსულად გადათარგმნილი და არა ქართულად, როგორც მე დავწერეო.

◆ **გერმანელების განცხადება.** ძეგვის ხიდის ამფეთქებელმა პოლკ შმაგაილოვმა სასამართლოში განაცხადა, რომ მას არ უნდოდა გერმანელებს სურსათი გაეტანათ და ამიტომ მოკავშირეთა დავალებით ხიდი აფეთქა. გერმანიის მისიამ გამოაქვეყნა დოკუმენტალური ცნობა, რომლიდანაც სჩანს, რომ შმაგაილოვის განცხადება მტკნარი სიცრუეა და გერმანელებს არაფერი არ წაუღიათ. პირიქით, მათი მეოხებით საქართველოში შემოიტანეს ის პური, ეხლა რომ იყიდება მცხოვრებთადმი ევრედ წოდებულ იაფ პურის სახელით.

◆ **სინემატოგრაფი გიმნაზიაში.** კვირას, დეკემბრის 29 მე-7 ქალთა გიმნაზიაში ყოფილ ქალთა ინსტიტუტის დარბაზში გაიმართება კინემატოგრაფი ბავშვებისათვის შემოსავალი გადაიდება ომის საჭიროებისათვის. ფასები 3 მან. 2 მან. 1 მან. დასაწყისი საღამოს 4 საათზე. ბილეთები იყიდება გიმნაზიის შენობაში.

◆ **სოფ. დურნუკის სომხები.** ტფილისის მაზრის სოფ. დურნუკის მცხოვრებლებმა საზოგადო ყრილობაზე შეადგინეს განაჩენი, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ თავის წმინდა მოვალეობად სთვლიან, როგორც საქართველოს შვილნი და ქვეშევრდომნი პროტესტი განაცხადონ სომეხ ავანტიურისტების წინააღმდეგ.

◆ **ქალაქის არჩევნები.** ტფილისის ახალი საბჭო, რომლის არჩევნები მალე მოხდება, უნდა შესდგებოდეს დეპუტების ძალით 90 ხმოსანისაგან, ნაცვლად ას ოცისა.

◆ **სწრაფი მატარებლები.** დეკემბრის 29 და 30 დანიშნულია სამოძრაოდ სწრაფი მატარებლები № 1 და 2. პირველი ნომერი წავა ტფილისიდან დეკემბრის 29, ხოლო № 2 ფოთიდან—დეკემბრის 30 ს.

◆ **გლეხების განთავისუფლება** ბორჯომის რწმუნებული ხუნდაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვს გაანთავისუფლონ ის გლეხები, რომელნიც დატუსაღებულნი იყვნენ ბორჯომის ტყის გაჩეხვის გამო, რადგანაც ზარალი უკვე აინაზღაურეს.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** საგუბერნიო კომისარს შეატყობინა. თვალყური ადევნონ ეკატერინენფელდის და სანდარის ტელეგრაფს, რადგანაც ხშირად ფუჭდება. ზომები მიღებულია.

◆ **ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტმა** დაადგინა გააფართოვოს თავისი ფეხსაცმლის სახელოსნო ქართულ ლაშქრის საჭიროებისათვის. ყოველდღე უნდა დამზადდეს 100 წყვილი ფეხსაცმელი და ახლო მომავალში დღეში დამზადდება 200 წყვილი.

◆ **საბიბლიოგრაფიო ინსტიტუტი.** კავკასიის ერების კულტურის და განათლების ნიადაგზე გაერთიანების მიზნით ტფილისის ინტელიგენტთა ჯგუფმა და პროფესორებმა დაადგინეს დაარსონ საბიბლიოგრაფიო ინსტიტუტი, რომ მთელ მსოფლიოდან მოაგროვონ სამეცნიერო გამოცემანი.

◆ **მოსამსახურეთა კრება.** დღეს შუადღის 12 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესდგება ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების ეკონომიური საზოგადოების კრება. აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს რათა იმათაც ნება დაერთოს ეკონომიურ საზოგადოებაში წევრებად ჩაწერისა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

საფინანსო კომისიის სხდომა. ორშაბათს დეკემბრის 30 საღამოს 5 საათზე დანიშნულია საქართ. სოც. ფედერ. სარევ. პარტიის ტფილისის კომიტეტის საფინანსო კომისიის სხდომა.

ტფილისის კომიტეტის სხდომა. ორშაბათს საღამოს 7 საათზე დანიშნულია სოც. ფედ. ტფილისის საქალაქო კომიტეტის სხდომა. წევრებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ. განსახილველია ფრიად საგულისხმო საკითხები.

შეერთებული კრება დღეს, დეკემბრის 29, საღამოს 6 ს. „სახალხო საქმის“ რედაქციაში დანიშნულია შეერთებული კრება, მთავარ კომიტეტის, ფრაქციის, საგუბერნიო, ტფილისის კომიტეტების, მუშათა გამგეობის და სამაზრო და ქუთაისის საგუბ. კომიტეტის აქ მყოფ წევრებისა. განსახილველია საქართველოს და სომხეთის ომთან დაკავშირებული საკითხები.

პარტიის წევრთა საყურადღებოდ. თანახმად ტფილისის ქალაქის გამგეობის განცხადებისა ტფილისში მცხოვრებ საქართველოს ქვეშევრდომთა აღწერა ხდება ამა თვის 28, 29 და 30 რიცხვებში. ამ იაში ვინც შეტანილი არ იქნება ქალაქის არჩევნებშიც მონაწილეობას ვერ მიიღებს. საჭიროა ყოველი ქართველი შეტანილ იქნას სიაში და ამისთვის ვავალებთ ყველა მყოფ პარტიულ ამხანაგებს გრძნობთ აღწერილობაში თავი აუცილებლად შეატანინონ. თავისუფალი საქართველოს დედა ქალაქის მმართველობის პირველი თავისუფალი არჩევნებს ვუახლოვდებით და პოლიტიკური დანაშაული იქნება ქართველ მოქალაქემ რომ ხმის უფლება დაკარგოს.

აღწერის პირობებს გაეცანით ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულ განცხადებაში.

საქართვ. სოც. ფედერ. სარევ. პარტიის ტფილისის კომიტეტი.

ამხანაგ ქალებს.

ოთხშაბათს, დეკემბერის 25 სოც.-ფედერალ. ბიუროში მოხდა სოც.-ფედერ. ქალების საზოგადო კრება. კრებამ იქონია მსჯელობა სომხებთან ომის მიერ გამოწვეულ საჭირბოროტო საკითხებზედ და დაადგინა: სოც.-ფედერალ. ქალთა ორგანიზაცია ამ ომის დროს, შედის მთელ თავის შემადგენლობით, „წითელი ჯვრის“ საზ. და მუშაობს მასთან ერთად სამშობლოს დასახმარებლად.

„წითელ ჯვართან“ არსებულ ქალთა კომიტეტში კრებამ წარმომადგენლად აირჩია ორი წევრი ეკ. ლორთქიფანიძისა და ნ ლომოური.

მაგრამ რეზოლიუციის გამოტანა და წარმომადგენლების გაგზავნა საკმარისი არ არის, ეს მხოლოდ საქმიანობის დაწყების სურვილის გამოთქმაა, საჭიროა ეს სურვილი განვახორციელოთ, საჭიროა სოც.-ფედერალ. ქალებმა სერიოზულ თვალით შეხედონ საქ ეს დროა, ამხანაგებო, ჩვენს აპატიურ, უმოქმედო ბობას, ბოლო მოუღოთ. განა ვერ ხედავთ რა ხდება ირგვლივ?

სისხლით იღებება ბორჩალოს მ მოები, ჩვენი ამხანაგები, ჩვენი მო რები დაუფიქრებლივ, დაუზოგველ სწირავენ თავს სამშობლოს, გმირულ ასრულებენ თავის მოვალეობას!

ჩვენ?

ოთხშაბათს კრებაზედ გამოცხადდა მცირე ნაწილი ჩვენი პარტიული ქალ სა და ეს ეხლა, ამ დროს, როდესაც ლა ცდილობს ჩაებას მუშაობაში და მაინც, თუ სხვაფრივ არ შეუძლიან, გა ხადოს ვალი სამშობლოს და მის ცველთა წინაშე.

ვიცი, ზოგი ჩვენი ამხანაგი იტყვ რომ ის სხვა ორგანიზაციებში მუშაობს, დაქსაქსვა ძალებისა ჩვენი პარტიულ ორგანიზაციის დიდად მავნებელია. თუ კრებამ, საზოგადო კრებამ ოთხშაბათს გადასწყვიტა შევიდეს „წითელი ჯვრის“ საზ. ორგანიზაციულად.

საჭიროა ყველა პარტიული ამხანაგები, ყველა სადაც კი არ უნდა იყოს ის აქამდის, დღეს შემოვრკებთ ამ ორგანიზაციაში.

გათავდება ომი, გაივლის მის მიერ გამოწვეული მწვავე გასაჭირი ერთგვარი მუშაობისა, მაგრამ ჩვენი, სოც.-ფედერალ. ქალთა ორგანიზაცია, დღეს მჭიდროდ გაერთიანებული დარჩება და მომავალში იმუშავებს პარტიის ფარგლებში და ჩვენ ყოფნას პარტიაში მიეცემა გარკვეული, ჩამოყალიბებული სახე.

ამხანაგებო, ამ სერიოზულ საქმის გასაკეთებლად, ომის საჭიროებისთვის დღევანდელ მუშაობასთან დაკავშირებულს, მოგიწოდებთ: ორშაბათს, დეკემბერის 30 საღამოს 6 საათზედ, პარტიულ ბიუროში უნდა შევიკრიბოთ ყველანი, გამოვსჯელოთ, ერთმანეთში აზრი გავცვალ-გამოვცვალოთ და მჭიდროთ, მტკიცე ნიადაგზედ შექმნილი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია შევიყვანოთ იქ, სადაც დღეს სამშობლოს თავდაცვისთვის მუშაობა გაჩაღებულია და როგორც ჩვენი ამხანაგები, ჩვენი პარტიის სასიქადულო რაზმელები და პარტიზანები პირველ რიგში იბრძვიან ხოლმე სამშობლოს მტრებთან, ისე ჩვენ ჩავდგეთ პირველ რიგში სხვა ქართველ ქალებთან ერთად და ზურგი გაუმაგროთ სამშობლოს თავისუფლებისთვის თავ-განწირულ მამულიშვილთ.

მაშ, გახსოვდეთ, ორშაბათს დეკემბერის 30 საღამოს 6 საათ ბიუროში დანიშნულ ქალების კრება.

ყველა წევრებისთვი დებულია და აუცილე

სოც.-ფედრალ. ქა დავალებით ნ. ლომო

საქართველოს რესპუ ჯვრის არ ებულ ქა ისაგა

ახლა როდესაც მთ ფრონტისაკენაა მიმ მთელი ჩვენი გრძნ პუბლიკის მხედ სისხლს ღვრ

ულებისათვის,; ამისთანა დროს ქის არ შეჰფერის მოგმართოთ სიტყვებით, გარდა იმისა რომ სა- ოა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ლოდ სამშობლოს დამცველების წი- ე.

მაგრამ ჩვენ მაინც როდესაც სისხლი ევრება ჩვენი ქვეყნის ძვირფასი შვილებისა, როდესაც ჩვენ ქვეყანას ისევ მოელის საშინელი საფრთხე, ვბედავთ მოგაგონოთ ის ახლო განვლილ ომის მსხვერპლი, რომლის დახმარება მოვალეობაა ყველასი, ვისაც უყვარს თავის შობლო და თავის ერი.

ავახელ ლტოლვილთა უმწეო, პაწია ვები, რომელთა დედ მამა და ნათეები დაიღუპნენ ახალციხისა და ახალ- აქის მაზრებში ოსმალთა შემოსევის ოს, შეიკედლა საქართველოს რეს ლიკის წითელი ჯვრის საზოგადოე- მ რუნველობა და მოვლა პატრო- იმათი იკისრა ქალთა კომიტეტმა, ლიც არსებობს წითელ ჯვართან მ ბავშვებისათვის გახსნა თავშესა- ტფილისში.

ბავშვები ტიტველნი, მშიერნი, ულნი და მოქანცულნი არიან იმ ნელი მდგომარეობით, რომელიც ხვდათ წილად, და რომელიც იმათ იცადეს.

ს ბავშვები მოგროვებულია ტყეებში ველები, სადაც ისინი იკვებებოდნენ ითა და ბალახით, მოგროვებულია გზებზე, სადაც ისინი მოქანცულნი ოდნენ თავიანთ დახოცილ მახლო- ა და მშობლებთა გვერდით. იყო ვევა, რომ პაწია ძუძუ-მწოვარა ბს აგლეჯდნენ მკერდიდან მკვდარ როცა ბავშვი მის ძუძუს სწოვდა, ახლა ეს ტანჯული გაძვალტყა- , დასნეულებული, ზნეობრივად ბიკურად განაწამები ბავშვები ნეთ აქ და ვიკისრეთ იმათი . მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმდე- ალება და ძალღონე, რომ დავა- ლოთ ამ საბრალო ბავშვების ირი საჭიროება. და როცა დაი- გაჯანსაღდებიან და გამოირკ- საშინელებისაგან, რაც იმათ ეე, აღიზარდნენ ისე როგორც საქართველოს მოქალაქეთ.

ბავშვი ავად არის, ბევრი სულ ა და საზოგადოების დაუხმა- და ყველაზე უფრო თქვენ, ქა- დაუხმარებლად, ჩვენ ვერ შევსძ- მოვიხადოთ ჩვენი ვალი ტანჯუ- ვ წიების წინაშე.

ლებო დედებო, დებო თქვენ გყავთ ფასი, საყვარელი ბავშვები. იფიქ- იმ პატარებზედაც რომელთაც დაჰ- გეს ყველა, ვინც საყვარელი და ფასი იყო მათთვის, გადაიტანეს ნი უბედურება. მოიგონეთ რომ თი დედ-მამა დაიხოცა სწორედ იმ ოს როდესაც ულმობელი მტერი შე- ესია ჩვენ ქვეყანას. მოიგონეთ რომ ხმარება იმათი, ვინც მსხვერპლი გახ- მ უბედურებისა, რომელიც თავს ეყდა ჩვენ სამშობლოს, მოვალეობაა ლი პატიოსანი მოქალაქისა.

ენ უნდა მოვახერხოთ ისე, რომ ა ეს ბავშვები გაიზრდებიან შეეძ- თ სთქვას: ჩვენ დავკარგეთ დედები, ამ სამშობლომ არ დაგვივიწყა, ჩვენ ობლომ განგვიკურნა წყლული გული ვიწროთ ცრემლები, შეგვიკედლა და ვიალერსა ჩვენ, და ამ სამშობ- ს შევსწირავთ ჩვენ ძალ-ღონეს.

დედებო, დებო ეს შეიძლება მხოლოდ ვენის დახმარებით და თქვენც დაეხ- რეთ პაწია ბავშვებს მძვინვარე მტე- ს შემოსევის მსხვერპლებს.

შემოსწირეთ იმათ ნივთები, ფული ლი, საჭმელი, ტანისამოსი, წიგნები, ეულები, სათამაშოები, ძაფი ნემსი რადი შრომა და სხ. და სხ. ყოველი იკი გამოადგება ბავშვებს, ყოველი აცმელი გაათბობს ბავშვს, ყოველი ი, ყოველი სათამაშო გაახარებს ვის პაწია გულს, რომელიც ახლა რო- მწუხარებით და დავიწყებუ-

ებს: 1) საქართ- საზოგადოების ში. ოლღას ქ ნობაში 2) თვი- რში, მამადავი- ლის სახლი 3) ში გოლოვინის ავითის ქ. კუთხე ავითის ქუჩიდან ს მუხელიშვილ- № 2.

ძეგვის ხიდის აფეთქება

სასამართლოში

მეშვიდე დღე.

პროცესის დასასრული ახლოვდება. დამცველები ყოველ ღონეს ხმარობენ, უკანასკნელ ხავს ებღაუჭებიან, რომ ბრალდებულებს სასჯელი შეუმსუბუქონ. შმაგაილოვის დამცველი ზელენსკი ლაპარაკობს რუსეთის ბოლშევიზმზე და გერმანიის იმპერიალიზმზე. მოსამართლეებს კიდევაც ემუქრება: იცოდეთ, შმაგაილოვის გასამართლებით თქვენ მის იდეას ასამართლებთო. კუჩარიანცის დამცველი პოპოვიანცი უფრო კონკრეტიულია: ის არ სცილდება ფაქტიურ მასალას და ყოველ საბუთს ბრალდებულის სასარგებლოდ შეატრიალებს. სხდომა თავდება უკანასკნელი დამცველის გეპშტეინის სიტყვით.

—

სხდომა იხსნება თორმეტის ნახევარზე. სიტყვა ეკუთვნით დამცველებს.

შმაგაილოვის დამცველი **ზელენსკი** ბატონნო მსაჯულნო! შმაგაილოვმა თან მოიტანა აქ, ბრალდებულის სკამზე, არა თუ თავისი იდეა, არამედ მთელი, რუსეთის იდეა, კულტურა. მე, ტომით რუსს, შემთხვევით მიხდება აქ მისი დაცვა და გთხოვთ თვითოეულ ჩემს სიტყვას მიუდგომლად შეხვდეთ შმაგაილოვმა გადაგიშალათ აქ უღრესი სიმართლე; მან მოგიყხროთ ბოლშევიზმზე, რომელიც თქვენთვის საშინელი სანახაობა იყო, ხოლო ჩვენთვის დაღუპვა, განადგურება. ბოლშევიზმი გააძლიერა და ფრთები შეასხა გერმანიის იმპერიალიზმმა და თქვენთვის ცხადი უნდა იყოს შმაგაილოვის ზიზღი გერმანიისადმი. მაგრამ არა გიოთეს, არა ვაგნერის, არამედ იმპერიალისტურ გერმანიისადმი, ერთად ერთ გამოსავალს შმაგაილოვი ხედავდა გერმანიის დამარცხებაში და ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მოკავშირეებისათვის ხოლო შეეწყო. ბატონებო! აქ, სასამართლოში იმდენად გააძწვავეს საკითხი, რომ მამულიშვილობასაც დანაშაულად უთვლიან. დანაშაულად უთვლიან იმას, რომ მას ჰსურდა რუსეთის აღდგენა, მისი აღორძინება; მაგრამ—მან გითხრათ გარკვევით—არა 1914 წლის საზღვრებში აღდგენა რუსეთის, არამედ პუშკინის, გოგოლის, დოსტოევსკის რუსეთის. ჩვენ გვრწამს, რომ რუსეთი აღსდგება, აღყვავილდება, კულტურული, მკვიდრი რუსეთი: და აქ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი. ვინ წავა რუსეთის აღსადგენად ფინლიანდიაში, ან და აღმე კახეთში, და თუ ბრალდებული განაპირა მხარეებზე ლაპარაკობდა, აქ იგულისხმება დონი, ციმბირი, უკრაინა. შმაგაილოვი ჭეშმარიტი რუსია, ის გულწრფელად იღწვის, იტანჯება რუსეთისათვის და ის აქაც, კავკასიაში, თავის ტანჯულ იდეისათვის იღვწოდა: მან მოლაპარაკება გამართა ინგლისელებთან და მათი დავალებით გადასდგა ნაბიჯი გერმანელთა წინააღმდეგ. ამის დასამტკიცებლად თქვენ მიიღეთ ოფიციალური მოწერილობა პოლკოვნიკ ჯოროდასის. ამ დოკუმენტს ქაღალდის ნაგლეჯს უწოდებენ,—ის „ორიანტის" ბლანკზეა დაწერილიო. მაგრამ ნუ თუ არ იცით, რომ ეს ევროპაში მიღებულია: ოფიციალური წარმომადგენლები ხშირად სწერენ ოფიციალურ ქაღალდებს ოტელის ბლანკზე. მაშასადამე, ცხადია, რომ შმაგაილოვი მოკავშირეთა დავალებით მოქმედებდა და ეს მოქმედება მიმართული იყო არა საქართველოს, არამედ გერმანიის წინააღმდეგ. გახსოვდეთ თქვენ, რომ შმაგაილოვის გასამართლებით თქვენ ამართლებთ მის მამულიშვილურ იდეას.

კუჩარიანცის დამცველი **პოპოვიანცი.** მე არ მესმის რა ორგანიული მნიშვნელობა აქვს წინამდებარე საქმეში დიდ პოლიტიკას, რომელიც აქ გუშინ გადაშალეს ბრალმდებელმა და სამოქალაქო მომჩივანმა ქავთარაძემ. „დაშნაქცუთუნის" პარტია საქართველოს ძირს უთხრისო; მაგრამ რა კავშირი აქვს ამას საქმესთან. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ძეგვის ხიდის აფეთქების საქმესთან, ხოლო ჩვენ პრესპექტივას კი ართულებს. ვთქვათ კუჩარიანცი „დაშნაქციუთიუნის" პარტიის წევრია, ვთქვათ მან ნოემბრის 1-ს ხიდი ააფეთქა, და ჩვენ ვიცით, რომ ეს პოლიტიკური მოსაზრებით მოაწყეს; მაგრამ განა შესაძლებელია იმ დემოკრატიის სახელით, რომელიც გუშინ ბრალმდებელმა შეაქო, სიკვდილით დავსაჯოთ ვინმე?

რომ დაემტკიცებინათ, რომ „დაშნაქციუთიუნის პარტია მონაწილეობდა ხიდის აფეთქებაში. მე კიდევ დაგეთანხმებოდით, რომ პარტიის სულ უმნიშვნელო წევრსაც შეეძლო ამ საქმის შესრულება. მაგრამ ეს ხომ არ დაუმტკიცებიათ. კუჩარიანცს ერთი გირვანქა ხიზილალა აღმოაჩნდა და აქედან დაასკვნიან, რომ ის დაშნაკელთა დავალებას ასრულებდა: „დაშნაქციუთიუნის" პარტიამ უყიდა ხიზილალაო. წინად ხიზილალა ფუფუნების საგანი იყო. დღეს კი ის შეუძლია იყიდოს ყოველ მუშას. კუჩარიანცს ლუქი უპოვეს: ექსპერტმა დაამოწმა, რომ ხიდის აფეთქებისათვის სრულებით არ იყო საჭირო ლუქი. მომჩივანმა ქავთარაძემ გუშინ ახსენა, კუჩარიანცი სამართალში იყო მიცემული დაშნაკელთა ცნობილ საქმის გამოო. დიახ კუჩარიანცი იყო სამართალში მიცემული, როგორც სოციალისტური გაზეთის რედაქტორი, მაგრამ ის გაანთავისუფლეს, რადგან შეცდომით იყო შეპყრობილი (ა. კუჩარიინცი შეცდომით იყო შეტანილი მ. კუჩარიანცად). საკვირველია, რა საბუთის ძალით ასამართლებენ ეხლა კუჩარიანცს: ბოროტმოქმედების ადგილას არ შეუპყრიათ, არც არავის უნახავს იგი იმ ადგილას. ერთად-ერთი თანამხილველი ამ ბოროტ მოქმედებისა შმაგაილოვი ამბობს, რომ მასთან იყო ვინმე „უფროსი", ინტელიგენტი ადამიანი, და ექსპერტი ჟღენტიც ამტკიცებს: ბოროტმომქმედნი ინტელიგენტი უნდა ყოფილიყვნენო, კუჩარიანცის წინააღმდეგ იქ მოიყვანეს საბუთებად ის, რომ მან ტყეში ჰკითხა შმაგაილოვს, როდესაც უკან გლეხები დაედევნენ: „შენ რას ეტყვი, რომ გითხრან, სად იყავიო". რად ჰკითხა შმაგიილოვმა, თუ დანაშაული არ მიუძღოდაო. მე მგონი ფსიქოლოგიურად ეს ახსნილია.

ორი დღის განმავლობაში ის ისე დაუახლოვდა შმაგაილოვს, რომ აინტერესებს ყველაფერი და უიმისოდ არც მგზავრობის გაგრძელება ჰსურს. და დიდი დანაშაული იქნება სასამართლოსი, რომ დასაჯოს უდანაშაულო კაცი. ყველაფერს გარდა, რას ნიშნავს ძეგვის ხიდი ახლად შექმნილ სახელმწიფოს ცხოვრებაში: ჯერ კიდევ ბევრი შეემთხვევა საქართველოს მისი სახელმწიფოს აღშენების დროს და ხიდის აფეთქების გულისთვის არ უნდა იქნეს აფეთქებული მართლმსაჯულების იდეა. კუჩარიანცის შესახებ მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა, რომ ის მაუზერისთვის ებრძოდა თავდამსხმელ გლეხებს: მოწმე გომართელმა სთქვა; ჩვენ უთხარით კუჩარიანცს „გადააგდე მაუზერიო" და ისიც სწორედ ვერ თმობდა იმ მაუზერს, რომელიც მას 15 წელიწადია აქვს. შემდეგ ბრალს სდებენ იმათაც, რომ მას ოთახის გასაღები უპოვეს (ლერმონტოვის ქ. № 12). მაგრამ, განა ის თან წაიღებდა ასეთ საშინელ საბუთს ოთახის გასაღებს—ხიდის ასაფეთქებლად რომ მიმგზავრებულიყო? მაშინ ის ეცდებოდა ყოველგვარი საბუთი მიემალა. აქედან ცხადია, რომ ჩვენს წინაშე ბრალდებულის სკამზე მოთავსებულია ყოვლად უდანაშაულო ადამიანი.

კიურნიულიანცის დამცველი **გეპშტეინი** აღნიშნავს, რომ მთელი პროცესის დროს თითქმის არც კი ყოფილა მოხსენებული კიურნიულიანცის გვარი. მან თვითონაც სთქვა, რომ ჩალხუშიანმა გაატანა წერილი თავის ცოლთან და შინაარსი წერილისა მან არ იცოდა. განა კიურნიულიანცი რომ მონაწილე ყოფილიყო ხიდის აფეთქებისა, ის მიიტანდა წერილს? მონაწილეს ვინ გაატანს წერილს. მაშინ, რასაკვირველია ყოველ ღონით ცდილობენ დამალონ ბოროტმოქმედების თავი და ბოლო. დაშნაქციუთიუნის პარტიას რომ მიეღო მონაწილეობა ხიდის აფეთქებაში, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი წევრი ამ პარტიისა დამნაშავეა იმაში? კიურნიულიანიცი წევრია ამ პარტიისა და მას ხშირად ატანდნენ პარტიული ამხანაგები წერილებს, ერთი ასეთი შემთხვევა ერევნის მოედანზეც მოხდა და კიურნიალიანცის მისია მხოლოდ ამაში გამოიხატება: მან წერილი მიიტანა „ორიანტის" სასტუმროში, ჩალხუშიანისათვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა შეხვედროდა; მას ეჩქარებოდა ძალიან და პირველ ნაცნობს—კიურნიულიანცს—გაატანა წერილი. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ კიურნიულიანცს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და იგი სავსებით უნდა იყოს განთავისუფლებული.

სასურსათო განყოფილებაში

მთავარ სასურსათო განყოფილებაში და მის ქვემდებარე საუბნე დაწესებულებებში აღმაშფოთებელ მოვლენებს აქვს ადგილი. გარდა იმისა, რომ სასურსათო საქმეებს ხელმძღვანელობენ არა ქართველნი და საქართველოს არა ქვეშევრდომნიც, პირიქით ქმარი რომ ერთი დაწესებულებაში მსახურობს, ცოლი მეორე დაწესებულებაში. სასურსათო ბარათების დარიგების დროს შვილებსაც მოიწვევენ ხოლმე სამუშაოდ. ამნაირად მთელი ოჯახობით მსახურობენ და ფულს ჰბოჭავენ. ასეთ მოვლენასთან ერთად ამჩნევთ მეორე მოვლენას. საუბნო სასურსათო კომიტეტების კანცელარიებში ქართველი ქალი და კაცი მრავლად დაიარება და სულ მცირე სამსახურს თხოულობენ. აქ კი ქართველებს ერიდებიან.

ამას წინად მთავარ სასურსათო განმანაწილებელ განყოფილებას ვთხოვე ჩემთვის დროებით დაენიშნა თანაშემწე და იქ მოსამსახურე ებრაელის ცოლი დამინიშნეს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ამავე განყოფილებიდან მივიღეთ ქაღალდი, რომლითაც გვაფრთხილებდნენ, თუ თავისუფალი ადგილი აღმოჩნდებოდა ჩვენ დაწესებულებაში, შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა რიგზე რვიდამ უნდა მოგვეთხოვა ვინმე. აღსანიშნავი თაგუნებში, რომლებიც მთელი ოჯახობით მსახურობენ, ამითაც არ კმაყოფილდებიან და ქალაქის პურის გამყიდველ პუნქტებსაც თავის ყურით აწყობენ დადგენილების თანახმად ასეთ პუნქტებზე მომუშავეთ ერთ ფუთ პურიდან ეძლევათ ერთი გირვანქა პური და ერთი მანეთიც ფულად. ესენი თავიანთ გვერდით მოწყობილ პუნქტებზე ბოვშვებს ქირაობენ, დღეში თითო მანეთს აძლევენ და დანარჩენს თვითონ იჯიბავენ. პუნქტმა რომ დღეში ორმოცი ფუთი დაარიგოს, მომუშავეთა სასარგებლოდ უნდა დარჩეს ერთი ფუთი პური და 40 მან. ფულად აქედან თაგუნები ლომის ხვედრს თითონ ისაკუთრებენ და დაქირავებულ ბავშვებს ოცი მანეთით უსწორდებიან, [illegible], ვისგანაც ჯერ არს ასეთ უმსგავსო მოვლენებს სათანადო ყურადღება მიექციოს.

სან—ტარი.

ღია ბარათი

პლატონ ლევანის ძე მახარაძეს.

ბ-ნო პლატონ! უთუოდ გახსოვთ, რომ თქვენ კეთილ ინებეთ და განაცხადეთ სურვილი გეკისრათ ქართულ ლატარიის ბილეთების გაყიდვა-გავრცელება და კიდეც მოგერთვათ ასი ბილეთი. პირველ დარბაზობის დროს თქვენ გადმოგვეცით 175 მანეთი. შემდეგ გვსტუმრეთ, მაგრამ თქვენი სასადილო „იმედი" დაკეტილი დაგვხვდა. ეხლა გავიგეთ, რომ თქვენ ტფილისიდან წაბრძანებულხართ და ახალი ადრესი თქვენი კი ვერ გვითხრეს.

ამით გთხოვთ დღეიდან ათი დღის განმავლობაში ჩააბაროთ გამგეობას ყოველივე ანგარიში (სასახლის ქუჩა, № 5. ლატარიის კონ ტელ. 6—61).

ლატარიის გამგე-დირექტორი **ხოლ. ახვლედიანი.**

გამომცემელი
ხასონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი [illegible] ავადმყოფობა. [illegible] მყოფებანი გულმკერდის [illegible] ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლების ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—88. 1270

ექიმი ნ. ლ. ტურაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სქესობით და საშვილოსნოს სნეულებანი, ნიკოლოზის ქუჩა № 7 სომხეთის აფთიაქის გვერდით. 90

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოლიძისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა)

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
საწყლებს უფასოდ. 1340

ექიმი ქალი ა. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან ქალურ და ვენერიულ** ავადმყოფებს, [illegible] სიფილისის [illegible] ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ [illegible] იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ-ბა) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი [illegible] ვის ქ. № 11. 2245

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი № 41, ტელეფონი 11—65. 255

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი [illegible] მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესაბამისი სასტუმრო „ნიუს" პირდაპირ № 8.

ექიმ ნავასარდიანის კერძო ქირურ. სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
[illegible] ძველის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606" და „914" 11—12 ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ
ბ. ბ. [illegible] 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
8. გ. [illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $1\frac{1}{2}$—1 ს.
ა. ი. [illegible] 12—1 ს. [illegible] ხანანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მედ. დოქტორი ა. ნავასარდიანი.

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს **შინაგან სნეულობის და ბავშვების** ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორდანოვის ქ. № 6.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ერქზიშვილის ქუჩა № 87. აფხალის [illegible] ახლოთ. 2105

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის ჟურნალზ
„კავკასიის ქალაქი"
საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ო
ორკვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.
ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფილებით.
ჟურნალი ღირს: ერთი წლით—36 მან., ნახევარი წლით—18 მან. 50
სამი თვით—10 მ. ცალკე ნომერი 3 მან.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისი, სომხის ბაზარი № 6.
ლეფონი 7—31.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქ. 14. (კალოუბნის ქ. 14).